რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2011 წლის 13 სექტემბრის N 5038–IIს დადგენილებით

<u>სასესხო ხელშეკრულება</u>

დათარიღებული **18.08.2011**

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW),
მაინის ფრანკფურტი
(KfW)
და
საქართველოს შორის,
რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი
("**მსესხებელი**")

20,000,000.- ევროზე

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში)
(BMZ ID 2010 66 364)

შინაარსი

შესავალი

1. სესხი
2. თანხების ჩამორიცხვა
3. გადასახადები
4. საპროცენტო განაკვეთი
5. სესხის დაფარვა და წინსწრებით დაფარვა
6. კალკულაცია და სესხის დაფარვის სქემა
7. მონაწილეობის რისკი
8. უარი გირავნობაზე და თანასწორობა
9. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები
10. განსაკუთრებული ვალდებულებები
11. დეფოლტის პირობები
12. წარმომადგენლობა და შეტყობინების წარდგენა
13. ზოგადი დებულებები

დანართები
დანართი 1 ჩამორიცხვის გრაფიკი

შესავალი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს შეთანხმება, რომელიც ჯერ არ გაფორმებულა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (“სამთავრობოთაშორისო შეთანხმება”).

მსესხებელი წყლის მიწოდების, საკანალიზაციო და სანირების სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გეგმავს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციას ბათუმში და მის მიმდებარე სოფლებში (ბათუმი - ფაზა III, შემდგომში "პროექტი"). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების შემთხვევაში KfW პროექტისათვის უზრუნველყოფს სესხს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებისა (შემდგომში "სასესხო ხელშეკრულება") და განსაკუთრებული შეთანხმების ვადებისა და პირობების შესაბამისად. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება არის ზემოხსენებული პროექტის მიზნისათვის KfW-ს მიერ უზრუნველოფილი სესხის და დაფინანსების ხელშეკრულებების ნაწილი.

პროექტს განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი ("პროექტის განმახორციელებელი სააგენტო"), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, წარმოდგენილი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით, როგორც ბათუმის საზღვრებს გარეთ ინვესტიციებზე უფლებამოსილის მხარდაჭერით და მსესხებელის ფინანსური მხარდაჭერით. სესხის პირობები შესაბამისობაშია წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის OECD-ს მოთხოვნებთან და განვითარების მხარდაჭერის კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობებთან (ODA).

წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს შემდეგი თანადაფინანსების წყაროების:

- 9,000,000.00 ევრომდე დაფინანსების თანხა გადაცემული KfW-ს მიერ მსესხებელისათვის დამოუკიდებელი დაფინანსების ხელშეკრულებით (შემდგომში “დაფინანსების ხელშეკრულება”),
- 4,000,000.00 ევრომდე დაფინანსების თანხა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ევროკომისიის მიერ KfW-ს მეშვეობით დამოუკიდებელი დაფინანსების ხელშეკრულებით (შემდგომში “დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულება”).
- დაახლოებით 6,000,000.00 ევრომდე დაფინანსების თანხა (შემდგომში “კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულება”; BMZ ID 2001 66 355) ყოფილი კრედიტების საგარანტიო ფონდის თანხების ხელმეორედ გამოყენების შედეგად.
- ქართული მხარის ადგილობრივი კონტრიბუცია, რომელიც მათ შორის შეადგენს სულ მცირე 5,000,000.00 ევროს ოდენობის კონტრიბუციასს (შემდგომში “ადგილობრივი კონტრიბუცია”), როგორც ეს უფრო დეტალურად ასახულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში.

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი, პროექტის ზონაში მდებარე მუნიციპალიტეტები (როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში) და KfW განსაკუთრებულ შეთანხმებაში განსაზღვრავენ პროექტის დეტალებს, ისევე როგორც იმ საქონელს და მომსახურეობას, რომელიც სესხის თანხიდან და ასევე სხვა თანადაფინანსების წყაროებიდან დაფინანსდება, ჩამორიცხვისა და შესყიდვების პროცედურებს და წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ დამატებით დეტალს.

იმდენად, რამდენადაც ამ სასესხო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი KfW-ს მოთხოვნა, ნაწილობრივ დაიფარება არაუზრუნველყოფილ რისკში მონაწილეობის გზით, რომელიც ფარავს KfW-ს რისკის 80%-ს და წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ არაუზრუნველყოფილ რისკში მონაწილება (შემდგომში “არაუზრუნველყოფილი რისკის მონაწილეობა”),

რომელიც სესხის ჩამორიცხვის წინაპირობას წარმოადგენს, KfW აცხადებს მზადყოფნას დააფინანსოს პროექტი შემდეგი პირობების შესაბამისად.

1. სესხი

1.1 *ოდენობა:* KfW გადასცემს მსესხებელს სესხს, რომლის ოდენობა არ აღემატება 20,000,000 ევროს ("სესხი").

1.2 *სესხის მიზანი*: მსესხებელი სესხს 1.4 მუხლის პირობების შესაბამისად გადასცემს თვითმმართველ ქალაქ ბათუმს ("პროექტის განმახორციელებელი სააგენტო", როგორც ეს პრეამბულაშია განსაზღვრული). მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო სესხს გამოიყენებს ბათუმში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისა და გაფართოებისათვის - ფაზა III ("პროექტი", როგორც ეს განსაზღვრულია პრეამბულაში) და უცხოურ ვალუტაში გაწეული ხარჯების დასაფარად. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი, პროექტის ზონაში მდებარე მუნიციპალიტეტები (როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში) და KfW განსაკუთრებულ შეთანხმებაში განსაზღვრავენ პროექტის დეტალებს, ისევე როგორც იმ საქონელს და მომსახურეობას, რომელიც სესხიდან დაფინანსდება.

1.3 *გადასახადები, მოსაკრებლები, საბაჟო გადასახადები.* გადასახადები და სხვა ოფიციალური მოსაკრებლები, რომლებიც წარმოექმნება მსესხებელს ან პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს, ასევე საბაჟო გადასახადი იმპორტზე სესხის თანხიდან არ დაფინანსდება.

1.4 *სესხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსათვის.* მსესხებელი სესხს სრულად გადასცემს ქვესასესხო ხელშეკრულებით პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს. ქვესასესხო ხელშეკრულების პირობები შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 და 5.1 მუხლში განსაზღვრული პირობებთან და მოთხოვნებთან. პირველ ჩამორიცხვამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მუხლი 1.5-ის პირობა. სესხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის არანაირ ფინანსურ ვალდებულებას არ აკისრებთ პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს KfW-ს მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებასთან მიმართებაში.

1.5. *ქვესასესხო ხელშეკრულება (სესხის გადაცემა).* წინამდებარე ხელშეკრულების 1.4 მუხლში აღნიშნულ ქვესასესხო ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს პირობა ქართული მხარის მიერ დღგ-ს დაფარვასთან დაკავშირებით. სესხის პირველ ჩამორიცხვამდე ხარჯების გაწევამდე მსესხებელმა KfW-ს უნდა გაუგზავნოს აღნიშნული ქვესასესხო ხელშეკრულების დამოწმებული თარგმანი. აღნიშნული ქვესასესხო ხელშეკრულება KfW-ს მიერ წინასწარ უნდა იქნას მოწონებული.

2. თანხების ჩამორიცხვა

2.1 *განაცხადი თანხების ჩამორიცხვის თაობაზე.* როგორც კი თანხების ჩამორიცხვის წინაპირობები შესრულებული იქნება 2.3 მუხლში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, KfW ჩამორიცხავს სესხს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს განაცხადის საფუძველზე პროექტის განხორციელების მიმდინარეობის შესაბამისად და დაფინანსების ხელშეკრულების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამორიცხვის ზუსტად პროპორციულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სესხიდან ჩამორიცხვა განხორციელდება ჩამორიცხვის გრაფიკით და მასში განსაზღვრული ნახევრწლიური ლიმიტის ფარგლებში როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში, რომლის დაახლოებითი მაჩვენებლები მოცემულია წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების დანართი 1-ში. იმის გათვალისწინებით თუ მსესხებლის მიერ მოთხოვნილი ჩამორიცხული თანხა მცირეა ვიდრე განსაზღვრული ნახევარწლიური ოდენობის, ჩამოურიცხავი თანხის მოთხოვნა შესაძლებელია შემდეგ ჩამორიცხვის პერიოდში, KfW არ არის ვალდებული განახორციელოს 100,000.00 ევროზე ნაკლები ოდენობის ჩამორიცხვა.

2.2 *თანხების ჩამორიცხვის თაობაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:* KfW უფლებამოსილია 2017 წლის 30 დეკემბერის შემდეგ უარი განაცხადოს თანხის ჩამორიცხვაზე.

2.3 *თანხების ჩამორიცხვის წინაპირობები:* KfW თანხებს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამორიცხავს, თუ KfW სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით შესრულებული იქნება შემდეგი წინაპირობები:

ა) მსესხებელი KfW-სათვის მისაღები ფორმით წარადგენს სამართლებრივ დასკვნას და ყველა იმ დოკუმენტის დადასტურებულ ასლს (თითოეული ოფიციალური თარგმანით გერმანულ ან ინგლისურ ენაზე), რომლითაც აღნიშნული სამართლებრივი დასკვნა ადასტურებს რომ სასესხო ხელშეკრულება წარმოადგენს მსესხებელის სამართლებრივ და მოქმედ ვალდებულებას (მათ შორის, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, განცხადებას KfW-ს ყველა გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელიც შეიძლება დაეკისროს პროცენტიდან, საკომისიოდან, საზღაურიდან და მსგავსიდან შემოსავლისას);

ბ) ხელშეკრულების 12.1 მუხლში გათვალისწინებული ხელმოწერის ნიმუშები (მსესხებლის წარმომადგენელი უფლებამოსილი პირები) წარდგენილ იქნა KfW-სთვის;

გ) ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობა ძალაშია შესული და ეფექტურია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;

დ) განსაკუთრებული შეთანხმება, დაფინანსების ხელშეკრულება, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების და დაფინანსების ხელშეკრულების განხორციელება ძალაშია შესული და მათ ფარგლებში თანხის ჩამორიცხვის წინაპირობები არის შესრულებული;

ე) მსესხებელმა გადაიხადა 3.2 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრირების გადასახადი;

ვ) არ დამდგარა შეწყვეტის მიზეზი ან მისი გამომხატველი, და

ზ) არ წარმოიშვება ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც აფერხებენ, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნიან პროექტის განხორციელებას, ფუნქციონირებას და მიზანს, ან მსესხებლის მიერ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით დაკისრებული გადახდის ვალდებულებების შესრულებას.

სესხის ფარგლებიდან თანხის ჩამორიცხვამდე KfW-ს უფლება აქვს, თუ საჭიროდ ჩათვლის, დამატებით მოითხოვოს დოკუმენტები და დადასტურებები.

2.4 *განსაკუთრებული შეთანხმება.* პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი, პროექტის ზონაში მდებარე მუნიციპალიტეტები (როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში) და KfW განსაკუთრებული შეთანხმებით განსაზღვრავენ თანხების ჩამორიცხვის პროცედურას ჩამორიცხვისათვის საჭირო სპეციალური პირობების ჩათვლით, კერძოდ კი მსესხებელის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ წარსადგენ დადასტურებებს, რომ მოთხოვნილი სესხის თანხები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის არის გამოყენებული.

2.5 თანხის ჩამორიცხვის გაუქმება. ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვით, მსესხებელს შეუძლია KfW–სთან შეთანხმებით გააუქმოს ჩამოურიცხავი სესხის თანხის ჩამორიცხვა 4.2 მუხლის გათვალისწინებით 2.6 მუხლით განსაზღვრული თანხის მიუღებლობის შემთხვევაში კომპენსაციის თანხის გადახდით.

2.6 კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში. თუ მსესხებელი უარს იტყვის სესხის ფარგლებიდან თანხის ჩამორიცხვაზე, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული სრულად, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული 2.2 მუხლით განსაზღვრული თარიღისთვის იმ სხვა მიზეზებით, რომელზეც KfW არ არის პასუხისმგებელი, მსესხებელი ვალდებულია დროულად აუნაზღაუროს KfW-ს მის მიერ მოთხოვნილი თანხა, რომელიც საჭიროა სახსრების ჩამორიცხვის გაუქმებით გამოწვეული ზარალის ან ხარჯების კომპენსაციისათვის. KfW დაითვლის თანხას თანხის მიუღებლობის კომპენსაციისათვის და შეატყობინებს მსესხებელს.

3. გადასახადები

3.1 *ვალდებულებების გადასახადი.* მსესხებელი გადაიხდის ვალდებულებების გადასახადს წლიური 0.25%-ის ოდენობით სესხის ჩამოურიცხავ მოცულობაზე, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ვალდებულებების გადასახადის დარიცხვა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის შემდეგ და გრძელდება მანამ, სანამ სესხით გათვალისწინებული მთლიანი თანხა არ იქნება სრულად ჩამორიცხული ან სრულად გაუქმებული.

ვალდებულებების გადასახადის დაფარვა მოხდება ნახევარწლიურად, ყოველი წლის 30 ივნისს და 30 დეკემბერს (თითოეული "**გადახდის თარიღი**"). პირველი გადახდის დღეა 2011 წლის 30 დეკემბერი, მაგრამ არა უადრეს გადახდის თარიღისა რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დადგება და ეფექტურია ხელშეკრულების 13.11 მუხლის შესაბამისად.

3.2 *ადმინისტრირების გადასახადი.* მსესხებელი გადაუხდის KfW-ს ერთჯერადი თანხის სახით ადმინისტრირების გადასახადს 1.1 მუხლში განსაზღვრული სესხის ძირითადი თანხის 1.0%-ის ოდენობით, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ადმინისტრირების გადასახადის გადახდის ვადა დადგება შემდეგიდან უადრესი: (i) სესხის მოცულობიდან თანხის პირველ ჩამორიცხვამდე ან (ii) KfW–ს მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვის ან წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის შემდეგ (იმისდა მიხედვით, თუ რომელი თარიღი (ii)-დან დადგება უფრო გვიან). როგორც კი ეს ხელშეკრულება გაფორმდება ადმინისტირების გადასახადი სრულად დაირიცხება იმისდამიუხედავად სესხი სრულად იქნა ჩამორიცხული თუ საერთოდ არა.

4. საპროცენტო განაკვეთი

მსესხებელი KfW-ს გადაუხდის სესხზე შემდეგნაირად განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს:

4.1 *განსაზღვრება.* მსესხებელი KfW-ს სესხზე გადაუხდის საპროცენტო განაკვეთს (შემდგომში "ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი"), რომელსაც KfW განსაზღვრავს 5 საბანკო დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მსესხებელი KfW-ს შეატყობინებს წინამდებარე ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შესახებ. KfW მსესხებელს დაუყოვნებლივ აცნობებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

4.2 *მაქსიმალური განაკვეთი.* თუ 4.1 მუხლის შესაბამისად დაფიქსირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, აღემატება წლიურ 5,5%-ს (მაქსიმალური განაკვეთი), KfW არ დააფიქსირებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს და წინამდებარე ხელშეკრულება არ შევა ძალაში და არ გახდება ეფექტური, თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმედებიან. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მსესხებელი ასეთ შემთხვევაში არ არის ვალდებული გადაიხადოს ადმინისტრირების გადასახადი (მუხლი 3.2) ან კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში (მუხლი 2.6). თუ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება მაქსიმალურ განაკვეთს, მაშინ KfW-ს მიერ წინასწარ დაფიქსირების შემდეგ ორივე მხარისათვის ის ხდება სავალდებულო.

4.3 *ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.* ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული იქნება მანამ, სანამ 5.1 მუხლით განსაზღვრული სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრული ბოლო შენატანი არ იქნება მიღებული KfW–ს მიერ.

4.4 *გადასახდელი საპროცენტო თანხის კალკულაცია და დაფარვის თარიღები.* პროცენტის დარიცხვა სესხის ათვისებულ თანხაზე დაიწყება იმ დღიდან (*ბუსტად*), როდესაც შესაბამისი სესხის თანხა KfW-ს მიერ მსესხებლისათვის გახსნილი სესხის ანგარიშიდან იქნება გადარიცხული, იმ თარიღამდე (*ჩათვლით*), როდესაც შესაბამისი თანხების დაკრედიტება მოხდება KfW-ს ანგარიშზე, ისე როგორც 6.3 მუხლშია აღნიშნული. გადასახდელი საპროცენტო თანხის კალკულაცია მოხდება 6.1 მუხლის შესაბამისად (*კალკულაცია*). დარიცხული საპროცენტო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადახდის თარიღებში (როგორც განსაზღვრულია 3.1 მუხლით).

5. სესხის დაფარვა და წინსწრებით დაფარვა

5.1 სესხის დაფარვის გრაფიკი. მსესხებელი სესხის დაფარვას შემდეგი გრაფიკით განახორციელებს:

სესხის ნაწილი	**გადახდის თარიღი**		**თანხა**	
1	დეკემბერი 30,	2015	869.000,00	ევრო
2	ივნისი 30,	2016	869.000,00	ევრო
3	დეკემბერი 30,	2016	869.000,00	ევრო
4	ივნისი 30,	2017	869.000,00	ევრო
5	დეკემბერი 30,	2017	869.000,00	ევრო
6	ივნისი 30,	2018	869.000,00	ევრო
7	დეკემბერი 30,	2018	869.000,00	ევრო
8	ივნისი 30,	2019	869.000,00	ევრო
9	დეკემბერი 30,	2019	869.000,00	ევრო
10	ივნისი 30,	2020	869.000,00	ევრო
11	დეკემბერი 30,	2020	870.000,00	ევრო
12	ივნისი 30,	2021	870.000,00	ევრო
13	დეკემბერი 30,	2021	870.000,00	ევრო
14	ივნისი 30,	2022	870.000,00	ევრო
15	დეკემბერი 30,	2022	870.000,00	ევრო
16	ივნისი 30,	2023	870.000,00	ევრო

17	დეკემბერი 30,	2023	870.000,00	ევრო
18	ივნისი 30,	2024	870.000,00	ევრო
19	დეკემბერი 30,	2024	870.000,00	ევრო
20	ივნისი 30,	2025	870.000,00	ევრო
21	დეკემბერი 30,	2025	870.000,00	ევრო
22	ივნისი 30,	2026	870.000,00	ევრო
23	დეკემბერი 30,	2026	870.000,00	ევრო

5.2 *ჩამოურიცხავი სესხის თანხები.* სესხის ჩამოურიცხავი თანხები სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად განსაზღვრული ბოლო ტრანშიდან იქნება გამოკლებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ცალკეულ შემთხვევებში KfW თავისი შეხედულებისამებრ სესხის დაფარვის სხვა ალტერნატივას არ განსაზღვრავს.

5.3 *სახსრების ჩამორიცხვა სესხის დაფარვის დაწყების შემდეგ.* თუ სესხიდან სახსრების ჩამორიცხვა მისი დაფარვის დაწყების შემდეგ მოხდება, სესხის დაფარვის გრაფიკი, რომელიც 5.1 მუხლშია მითითებული შეუცვლელი დარჩება იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის მოცულობა არ აღემატება სესხის მოცულობას. იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი დასაფარი მოცულობა აღემატება ჩამოურიცხავ სესხის მოცულობას, KfW გადასახდელ თანხას გამოაკლებს ჩამოურიცხავი მოცულობას და ამ სხვაობას გადაანაწილებს ყველა შემდგომ შენატანზე. KfW იტოვებს უფლებას არ გაითვალისწინოს ის სახსრები, რომლებიც შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღამდე 45 დღით ადრე იქნა ჩამორიცხელი დარჩენილი დავალიანების მოცულობის განსაზღვრის დროს, იმის გათვალისწინებით რომ გადასახდელი სესხის თანხა უნდა იქნეს გადახდილი დაფარვისათვის გათვალისწინებული შემდგომი თარიღის დადგომამდე.

5.4 *წინსწრებით დაფარვა.* წინსწრებით დაფარვაზე გავრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

ა) წინსწრებით დაფარვის უფლება. მსესხებელს შეუძლია ყოველ გადახდის დღეს (ბ) დან (ე) ქვეპუნქტის ჩატვლით განსაზრვრული პირობების დაცვით, დაფაროს სესხი სესხის დაფარვის საბოლოო ვადაზე ადრე, მაგრამ არაუმცირეს 5.1 მუხლში მოცემული ერთი გადახდის ოდენობით.

ბ) შეტყობინება. 5.4 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევა ექვემდებარე მსესხებლის მიერ KfW-სათვის წინასწარ შეტყობინებას, არაუგვიანეს მაინის ფრანკფურტის 15 საბანკო დღისა (როგორც ეს განსაზღვრულია 13.1 მუხლში), განსაზღვრული წინსწრები თარიღის შესაბამისად. ასეთი შეტყობინება შეუქცევადია; მასში მითითებული უნდა იყოს ის თარიღი, როდესაც სესხის წინსწრებით დაფარვაა გათვალისწინებული და მოცულობა და ავალდებულებს მსესხებელს KfW-ს გადაუხადოს მითითებულ თარიღში აღნიშნული მოცულობა.

გ) წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია. თუ მსესხებელი ნებისმიერ სესხის თანხას, რომელსაც ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მისი დაფარვის ბოლო ვადამდე ადრე დაფარავს, იგი ვალდებულია KfW-სგან შესაბამისი თხოვნის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაუხადოს მას ის მოცულობა, რომელიც სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებით KfW-ს ნებისმიერი დანაკარგის, გაწეული ხარჯების კომპენსაციისათვის იქნება საჭირო, რაც დაეკისრება სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებით. KfW სესხის წინსწრებით დაფარვის კომპენსაციის მოცულობას განსაზღვრავს და შეატყობინებს მსესხებელს.

დ) დასაფარი მოცულობა. სესხის წინსწრებით დაფარვასთან ერთად მსესხებელი ასევე ვალდებულია 5.4 მუხლის შესაბამისად გადაიხადოს შემდეგი:

აა) სესხის ნებისმიერი წინსწრების დაფარვის კომპენსაცია 5.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული;

ბბ) წინსწრებით დასაფარ სესხზე წინსწრებით დაფარვის ვადისთვის დარიცხული ყველა პროცენტი.

ე) *თანხების ჩათვლა.* 5.2 მუხლი (*სესხის მოცულობიდან ჩამოურიცხავი თანხები*) გავრცელდება შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, წინსწრებით დაფარვის კომპენსაციაზე.

5.5 *სესხის დაფარვის გრაფიკის განახლება.* 5.3 მუხლის (*სახსრების ჩამორიცხვა სესხის დაფარვის დაწყების შემდეგ*) და 5.4 მუხლის (*წინსწრებით დაფარვა*) ამოქმედების შემთხვევებში, KfW მიაწოდებს მსესხებელს განახლებულ სესხის დაფარვის გრაფიკს, რომელიც წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შეცვლის იმ დრომდე არსებულ დაფარვის გრაფიკს.

6. კალკულაცია და გადახდები ზოგადად

6.1 *კალკულაცია.* პროცენტი, ვალდებულების გადასახადი, 6.5 მუხლით გათვალისწინებული დეფოლტი, 6.6 მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაცია ვადაგადაცილებული დავალიანებისთვის, 2.6 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში და 5.4 მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია გამოითვლება 360 დღიანი წელიწადის და 30 დღიანი თვის საფუძველზე.

6.2 *გადახდის თარიღი.* იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების თარიღი დაემთხვევა არასაბანკო დღეს (როგორც ეს განსაზღვრულია 13.1 მუხლში), მსესხებელმა გადახდა უნდა განახორციელოს მომდევნო საბანკო დღეს. თუ მომდევნო საბანკო დღე ემთხვევა მომდევნო კალენდარულ თვეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მიმდინარე კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.

6.3 *ანგარიში და დაკრედიტების დრო.* მსესხებელი გათავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებებისაგან როცა და როგორც კი შესაბამისი თანხები ყოველგვარი გამოქვითვების გარეშე, ევროებში დაკრედიტდება KfW–ს ანგარიშზე, უფლებამოსილი განკარგოს ეს თანხა, და არა უგვიანეს დილის 10:00 საათისა KfW–ს ანგარიშზე IBAN DE80 5002 0400 3108 4546 98 (ბოლო ციფრები აღნიშნავს GP ციფრებს), დამატებითი მითითებით "წელი, თვე, რიცხვი"). KfW–ს მიერ მსესხებელისათვის მითითებულ ნებისმიერ სხვა ანგარიშზე გადახდისას შესაბამისად ვრცელდება გადახდის იგივე მეთოდი.

6.4 *მსესხებელის საპასუხო მოთხოვნა.* მსესხებელი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს თანხიდან დაკავება ან მოითხოვოს კომპენსაცია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დასაფარ თანხებთან მიმართებაში გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი უფლება არ არის აღიარებული საბოლოო გადაწყვეტილებით ან KfW–სთან შეთანხმების გზით.

6.5 *დეფოლტი.* თუ სესხის რომელიმე დასაფარი ნაწილი ან 5.4 მუხლით (*წინსწრებით დაფარვა*) გათვალისწინებული წინსწრებით განსაზღვრული დაფარვები KfW-სათვის დაბრუნებული არ იქნება დათქმულ დროს, KfW-ს შეუძლია წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დააკისროს დეფოლტის პროცენტი საბაზისო განაკვეთს პლიუს 300 საბაზისო პუნქტი წელიწადში, გადახდისათვის დადგენილი დღიდან იმ დღემდე როდესაც დაგვიანებული თანხა დაკრედიტდება 6.3 მუხლში მითითებულ KfW-ს ანგარიშზე. ეს განაკვეთი უნდა იყოს სულ მცირე 4.1 მუხლის

შესაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ტოლი. **"საბაზისო განაკვეთი"** არის გერმანიის ცენტრალური ბანკის მიერ გადახდის თარიღისთვის გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი. ასეთი დეფოლტის პროცენტი გადახდილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ KfW–ს პირველი მოთხოვნის საფუძველზე.

6.6 *პირგასამტეხლო.* ვადაგადაცილებული დავალიანების შემთხვევაში (გარდა გადახდისა და წინასწარი გადახდისა, რაზეც 6.5 მუხლითაა გათვალისწინებული დეფოლტის პროცენტი) KfW უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, ვადაგადაცილებულ თანხაზე მოითხოვოს კომპენსაციის ერთიანად გადახდა საბაზისო განაკვეთს პლიუს 300 საბაზისო განაკვეთი წელიწადში, რომელიც აითვლება გადახდის დადგენილი თარიღიდან ამ თანხის დაფარვამდე. ერთიანად გადასახდელი კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ KfW–ს პირველი მოთხოვნისთანავე. მსესხებელი თავისუფალი უნდა იყოს მტკიცებისაგან, რომ ფაქტობრივად არანაირი ზიანი არ განუცდია ან რომ არანაირი ზიანი არ მიყენებია, როგორც განაცხადა.

6.7 *ჩათვლა.* KfW უფლებამოსილია მოახდინოს მიღებული თანხებით როგორც წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ისე "მსესხებელსა" და KfW-ს შორის დადებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების ჩათვლა.

K6.8 K *KfW -ს მიერ განხორციელებული გაანგარიშებები.* გარდა იმ შემთხვევებისა, თუ KfW–ს გაანგარიშებებში შეცდომები იქნება დაშვებული, მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გათვლები მიღებული უნდა იყოს როგორც უტყუარი მტკიცებულება.

7. დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობა

სესხიდან პირველ ჩამორიცხვამდე, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი ("BSTDB") და KfW გააფორმებენ დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობას (როგორც ეს პრეამბულაშია განსაზღვრული), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველს. სესხიდან ნებისმიერი ჩამორიცხვის წინაპირობაა დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობის უპირობო ძალაში შესვლა.

8. უარი გირავნობაზე და თანასწორობა

8.1 *აკრძალვა გირავნობის და გასხვისების. არც* მსესხებელი თავად და უზრუნველყოფს, რომ არც პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, KfW–ს წინასწარი თანხმობის გარეშე სესხის სრულად დაფარვამდე არ დააგირავებენ ან არ გაასხვისებენ პროექტის აქტივებს. პროექტის აქტივები განისაზღვრება, როგორც: ა) აქტივები შეძენილი სასესხო ხელშეკრულების, დაფინანსების ხელშეკრულების, დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების ან ადგილობრივი კონტრიბუციის თანხებით, ან ბ) მსესხებელის მიერ პროექტის მიზნებისათვის უზრუნველყოფილი აქტივები (მიწაზე უფლების ჩათვლით), ან გ) აქტივები, რომელიც არის ან იქნება პროექტის მნიშვნელოვანი ელემენტები, განსაკუთრებით პროექტის სათანადო განხორციელებისათვის ან დ) აქტივები, წარმოქმნილი პროექტის განხორციელების შედეგად, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

არც დაა

8.2 *თანასწორობა.* კანონით დაშვებულ ფარგლებში მსესხებელი იღებს ვალდებულებას, რომ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები მისი ყველა სხვა არსებული და მომავალი, არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული, საგადასახადო ვალდებულებები თანაბარი იქნება.

9. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები

9.1 *თანხების დაქვითვის ან დაკავების დაუშვებლობა.* მსესხებელი წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს გადაიხდის ყოველგვარი გადასახადებისა, სხვა გადასახდელებისა ან სხვა ხარჯების დაქვითვის გარეშე. იმ შემთხვეევაში, თუ კანონის შესაბამისად ან სხვა მიზეზით მსესხებელი ვალდებულია მოახდინოს ამ თანხების დაქვითვა ან დაკავება, მსესხებლის მიერ KfW-სთვის გადახდილი თანხები გაიზრდება იმ ოდენობით, რომელიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების დაქვითვის შემდეგ KfW-მ სრულად მიიღოს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები.

9.2 *ხარჯები.* მსესხებელი თავად გასწევს ყველა სახის ხარჯსა და დანახარჯს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სესხის ჩამორიცხვასთან და გადარიცხვასთან (მათ შორის კონვერტირების ხარჯი), ასევე წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

9.3 *გადასახადები და სხვა მოსაკრებლები.* მსესხებელი თავად გაიღებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ გადასახადს და სხვა ოფიციალურ მოსაკრებელს, რომელიც წარმოიქმნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. თუ KfW წინასწარ გადაიხდის ამ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, მსესხებელი მოთხოვნისთანავე გადარიცხავს აღნიშნულ თანხას 6.3 მუხლში მითითებულ ანგარიშზე. მუხლი 6 ვრცელდება შესაბამისად.

10. განსაკუთრებული ვალდებულებები

10.1 *პროექტის განხორციელება და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.*
მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ თავად ის და პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:

ა) მოამზადებს, განახორციელებს, აწარმოებს და უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას შესაბამის ფინანსურ და ტექნიკურ პრაქტიკასთან და შესაბამისად KfW–სა და პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს შორის შეთანხმებული კონცეფციის შესაბამისად;

ბ) დაავალებს პროექტის მომზადებას და მშენებლობის ზედამხედველობას დამოუკიდებელ, კვალიფიცირებულ კონსულტანტ ინჟინრებს, ხოლო პროექტის განხორციელებას კვალიფიციურ ფირმებს;

გ) სესხიდან დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების კონტრაქტებს გააფორმებს წინასწარ ჩატარებული საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე KfW–ს შესყიდვებისა და კონსულტანტის შერჩევის დირექტივების შესაბამისად, როგორს ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში;

დ) უზრუნველყოფს პროექტის სრულ დაფინანსებას და KfW-ს მოთხოვნისთანავე წარუდგენ იმის დასტურს, რომ ის ხარჯები რომლებიც არ ანაზღაურდება ამ სესხიდან დაფარულია;

ე) აწარმოებს ან დაავალებს აწარმოონ ჟურნალები და ჩანაწერები, ან ექნება ჟურნალები და ჩანაწერები, პროექტისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ზუსტი ხარჯების აღრიცხვით და იმ საქონლისა და მომსახურების მითითებით, რომლებიც ამ სესხიდან ფინანსდება;

ვ) საშუალებას მისცემს KfW-ს წარმომადგენლებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ ზემოხსენებული ჟურნალები და ჩანაწერები და ასევე ნებისმიერი სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ პროექტის განხორციელებას და მსვლელობას, და მოინახულონ პროექტის ობიექტები და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობები;

ზ) წარუდგენს KfW-ს ნებისმიერ იმ ინფორმაციას და ანგარიშებს პროექტის შესახებ და ასევე, პროექტის განვითარების შესახებ, რომელიც შესაძლოა KfW-მ მოითხოვოს;

თ) გააკეთებს ადგილობრივ კონტრიბუციას სრულად და დროულად, და

ი) საკუთარი ინიციატივით და დაყოვნების გარეშე

აა) მიაწოდებს KfW–ს ინფორმაციას მსესხებლის მიერ OECD–გან ან მისი წევრებისგან "ODA-ს კრედიტების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ხელშეკრულების" ფარგლებში მიღებული კითხვის შესახებ, სესხის ფარგლებიდან დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების ტენდერის მინიჭებასთან დაკავშირებით და პასუხს KfW–სთან შეათანხმებს.

ბბ) შეატყობინებს KfW-ს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს, ან სერიოზული საფრთხე შეუქმნან პროექტის განხორციელებას, მსვლელობას და მიზნებს.

10ყ2 *განსაკუთრებული შეთანხმება.* პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი, პროექტის ზონაში მდებარე მუნიციპალიტეტები (როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში) და KfW 10.1 მუხლის დეტალებს განსაკუთრებული შეთანხმებით განსაზღვრავენ.

10.3 *მსესხებელის მხარდაჭერა.* მსესხებელი დაეხმარება პროექტის განმხორციელებელ სააგენტოს პროექტის განხორციელებისას სწორი საინჟინრო და ფინანსური პრაქტიკის მიხედვით წარმართვაში და პროექტის განმახორციელებელი სააააგენტოს მიერ განსაკუთრებული შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულების სწორად შესრულებაში, კერძოდ, მსესხებელი პროექტის განმახორციელებელ სააგენტოზე და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გასცემს ყველა იმ ნებართვას, რომელიც პროექტის განხორციელებისთვის არის საჭირო.

10.4 *შესაბამისობა.* მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პირები, რომლებსაც პროექტის მომზადება და განხორციელება, საქონლისა და მომსახურეობის კონტრაქტების მინიჭება და სესხის ფარგლებიდან თანხების მოთხოვნა დაევალებათ, არ მოითხოვენ, მიიღებენ, გადაიხდიან, გასცემენ, შეპირდებიან ან შესთავაზებენ სხვა პირებს უკანონო ანაზღაურებას ან ისარგებლებენ რაიმე სხვა უპირატესობით ზემოხსენებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

10.5 *საქონლის ტრანსპორტირება.* სესხის ფარგლებიდან დაფინანსებული საქონლის ტრანსპორტირებაზე გავრცელდება სამთავრობოთაშორისო შეთანხმების დებულებები, რომლებიც ცნობილია მსესხებლისთვის.

11. შეწყვეტა

11.1 *დეფოლტის პირობები.* KfW უფლებამოსილია 11.2 მუხლში (*სამართლებლივი შედეგები ან დეფოლტის პირობები)* აღნიშნულის შესაბამისად შეაჩეროს სესხის გამოყოფა მთლიანად ან

ნაწილობრივ, თუ ადგილი აქვს ისეთი მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენს მატერიალურს მიზეზს (*wichtiger Grund*). კერძოდ, შემდეგი თითოეული მოვლენა წარმოადგენს მატერიალურ მიზეზს:

ა) მსესხებელი ვერ შეასრულებს *KfW*-ს წინაშე აღებულ ვალდებულებას თანხების მითითებულ ვადებში დაფარვის შესახებ;

ბ) დაირღვევა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით, დაფინანსების ხელშეკრულებით, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებით, დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულების, განსაკუთრებული შეთანხმებით ან წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებათან მიმართებაში ნებისმიერი სხვა განსაკუთრებული შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობები;

გ) წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება, დაფინანსების ხელშეკრულება, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებით ან დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებულია და აღარ გააჩნია სავალდებულო ხასიათი მსესხებელთან მიმართებაში ან აღარ იქნება განხორციელებადი მსესხებელის წინააღმდეგ.

დ) განსაკუთრებული შეთანხმება მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებულია და აღარ გააჩნია დამავალდებულებელი ხასიათი განსაკუთრებული შეთანხმების მხარეების მიმართებაში ან აღარ იქნება განხორციელებადი განსაკუთრებული შეთანხმების მხარეების წინააღმდეგ.

ე) მიზეზი შეწყვეტის ან/და დეფოლტის დაფინანსების ხელშეკრულებისგან, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებისგან ან დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულებისგან გამომდინარე დგება, რომელიც საშუალებას აძლევს KfW-ს მოითხოვოს მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა მათ მიერ ჩამორიცხული შესაბამისი განაცემების ან გააუქმოს მსესხებელის უფლება თანხის ჩამორიცხვის მოთხოვნის;

ვ) თუ მსესხებელი ვერ შეძლებს მიაწოდოს ან უზრუნველყოს პროექტის ადგილობრივი კონტრიბუცია, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლი 10.1 თ)-ში და განსაკუთრებულ შეთანხმებაში;

ზ) ნებისმიერი დეკლარაცია, დადასტურება, ინფორმაცია, ან გარანტია, რომელიც KfW–ს აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სახსრების გამოყოფის გასაგრძელებლად და სესხის მხარდაჭერისათვის არასწორია, არასრულია ან უზუსტოა;

თ) წარმოიქმნა სხვა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც აყოვნებს ან ხელს უშლის წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას;

ი) თუ მსესხებელი ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ სესხის თანხები მიზნობრივად იქნა გამოყენებული;

კ) დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში KfW–ს პრეტენზიის დაკმაყოფილების მიზნით აღარ არის ძალაში და ეფექტური შეზღუდვების გარეშე ან შეუსრულებადია;

ლ) მსესხებელი, ან ნებისმიერი კანონის მიზნებისათვის ითვლება რომ, ვერ გადაიხდის მის საგარეო ვალს, ვინაიდან ვერ გადაიხადა გადახდის მომენტისათვის არსებული გადასახდელი ან გაკოტრებულია, იწყებს მოლაპარაკებებს მის საგარეო კრედიტორებთან მორატორიუმის თაობაზე, ამბობს უარს მის ნებისმიერ საგარეო დავალიანებაზე, ახდენს მისი ნებისმიერი დავალიანების გადახდის გრაფიკის შეცვლას, ან ახდენს მისი ნებისმიერი საგარეო ვალის გადახდასთან დაკავშირებით შეჩერებას.

11.2 *სამართლებლივი შედეგები ან დეფოლტის პირობები.* თუ 11.1 მუხლში აღწერილ გარემოებებს ექნება ადგილი და აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრა არ მოხდება 5 დღეში (მუხლი 11.1 ა) შემთხვევაში) ან თუ მუხლი 11.1-ში აღნიშნულ გარემოებებს ექნება ადგილი და აღნიშნულის აღმოფხვრა არ მოხდება, KfW-ის მიერ განსაზღვრულ დროში, რომელიც სულ მცირე 30 დღე მაინც უნდა იყოს, KfW-ს შეუძლია გააუქმოს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება ან ნებისმიერი მისი ნაწილი, რაც გამოიწვევს:

ა) წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების გაუქმებას, და

ბ) KfW-ს შეუძლია მოითხოვოს სესხის ან მისი დარჩენილი ნაწილის დაფარვა დარიცხულ პროცენტებთან და წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით წარმოშობილ ნებისმიერ და ყველა სხვა გადასახდელთან ერთად. მუხლი 6.5 (*დეფოლტი*) და მუხლი 6.6 (*პირგასამტეხლო*) ვრცელდება დაჩქარებულ თანხებზე შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

11.3 *ზარალის ანაზღაურება.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში, გარდა 11.1 "კ" მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვეტისას, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს თანხის მიუღებლობის კომპენსაცია 2.6 მუხლის (*კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში*) შესაბამისად და/ან კომპენსაცია 5.4 "ე" მუხლის (*წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია*) შესაბამისად.

12. წარმომადგენლობა და შეტყობინების წარდგენა

12.1 *მსესხებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.* საქართველოს ფინანსთა მინისტრი და მის მიერ KfW–სთვის დასახელებული პირი, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტაციით ექნება ამისი უფლება მინიჭებული, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების შესრულებისას წარმოადგენს მსესხებელს. წარმომადგენლობის უფლებამოსილება გაგრძელდება მანამ სანამ მსესხებელი არ აცნობებს KfW-ს ამ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

12.2 *მისამართები.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებები და გაცხადებები უნდა იყოს შესრულებული წერილობით. ისინი ორიგინალები უნდა იყოს წარდგენილი ან გამონაკლის შემთხვევაში თანხების გამოყოფის თაობაზე მოთხოვნა – ფაქსიმილეს სახით. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყოველი შეტყობინება და გაცხადება გაგზავნილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე:

KfW-ს შემთხვევაში:

KfW
Attn.. Department LIIId4
Postfach 11 11 41
60046 Frankfurt am Main
Federal Republic of Germany
Fax: +49 69 7431-2944

მსესხებელის შემთხვევაში:	საქართველო ფინანსთა სამინისტრო საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი გორგასალის ქ. 16 თბილისი, 0114 საქართველო ფაქსი +995 (32) 2261 461

13. ზოგადი დებულებები

13.1 *საბანკო დღე.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მიზნებში **"საბანკო დღე"** ნიშნავს შაბათის და კვირის გარდა დღეს, როდესაც მაინის ფრანკფურტის კომერციული ბანკები ღიაა ძირითადი საქმიანობისათვის.

13.2 *ხელშეკრულების შესრულების ადგილი.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ადგილია მაინის ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

13.3 *ხელშეკრულების დებულებების ძალაში ყოფნის ნაწილობრივი გაუქმება.* თუ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ან მის რომელიმე დებულებაში საკითხი არასრულად არის წარმოდგენილი, ეს არ მოახდენს ზეგავლენას სასესხო ხელშეკრულების დანარჩენ დებულებებზე. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების მხარეები ძალადაკარგულ დებულებებს ახალი დებულებებით ჩაანაცვლებენ, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს იქნებიან თავისი არსით და ხასიათით წინანდელ დებულებებთან. მხარეები შეეცდებიან შეავსონ არასრული დებულებები ისეთი დებულებებით, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს იქნებიან თავისი არსით და ხასიათით წინანდელ დებულებებთან და მათ მიზნებს უპასუხებენ.

13.4 *წერილობითი ფორმა.* წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები იმისთვის, რომ ისინი ძალაში იყოს უნდა გაფორმდეს წერილობით. მოცემული მოთხოვნის გაუქმების თაობაზე თხოვნა მხარეების მიერ მომზადებული უნდა იყოს წერილობით.

13.5 *მსესხებელის უფლებამოსილების დელეგირება.* მსესხებელი არ დაავალებს ან გადასცემს სხვას, არ დააგირავებს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებით დაკისრებულ მოთხოვნებს.

KfW-ს უფლებამოსილების დელეგირება. KfW-ს შეუძლია გადასცეს, დააგირავოს, დატვირთოს ან სხვაგვარად გადასცეს (*verfügen*) (თანამონაწილეობის ჩათვლით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ყველა ან ნაწილი მისი მოთხოვნა, უფლება და ვალდებულება BSTDB-ს დაუფინანსებელ რისკში მონაწილეობასთან კონტექსტში. KfW ან BSTDB შეატყობინებს მსესხებელს იმ თარიღს როდესაც გახდება ეფექტური KfW-ს მიერ გადაცემის (*Verfügung*) ან დავალების გზით მისი უფლებების და ვალდებულებების რწმუნებულზე გადაცემა.

13.6 *კანონი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე გავრცელდება.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება რეგულირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით.

13.7 *ხანდაზმულობის ვადა:* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან KfW–ს ყველა პრეტენზია ძალადაკარგული იქნება იმ წლის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც პრეტენზია წარმოიქმნა და როდესაც KfW–მ ინფორმაცია შეიტყო პრეტენზიასთან დაკავშირებული

გარემოებების თაობაზე, ან შეიძლება შეეტყო ამ დაუდევრობით გამოწვეული გარემოებების თაობაზე.

13.8 *იმუნიტეტზე უარის თქმა.* რამდენადაც, რომ მსესხებელს შეუძლია რომელიმე იურისდიქციაში ახლა ან მომავალში საკუთარ თავზე ან მის აქტივებზე სასამართლო იმუნიტეტის მოთხოვნა, შესრულება, ყადაღის დადება ან სხვა სამართლებრივი პროცესი და იმის მიხედვით, რომ ნებისმიერ მსგავს იურისდიქციაში მასზე ან მის აქტივებზე შეიძლება გავრცელდეს ასეთი იმუნიტეტი, სესხის ამღები ამით შეუცვლელად თანახმაა არ მოითხოვოს და წინამდებარეთი შეუცვლელად უარს ამბობს ასეთი იურიდიქციის ფარგლებში ნებადართულ იმუნიტეტზე, თუმცა იმუნიტეტი არ მოიხსნება იმ შემთხვევაში როდესაც: (i) არსებული ან სამომავლო "მისიის სამყოფელი", როგორც ამას განსაზღვრავს ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთოების შესახებ, ხელმოწერილი 1961 წელს, "საკონსულოს სამყოფელი", როგორც ამას განსაზღვრავს ვენის კონვენციაში საკონსულო ურთიერთოების შესახებ, ხელმოწერილი 1963 წელს, ან სხვაგვარად გამოყენებული საქართველოს დიპლომატიური ან საკონსულო მისიების ან სხვა სააგენტოს მეშვეობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა პროცესის ეფექტური მომსახურებისთვის), (ii) სამხედრო ხასიათის საკუთრება, რომელიც იმყოფება სამხედრო პირების ან თავდაცვის სააგენტოს კონტროლის ქვეშ. (iii) საქართველოში მდებარე საკუთრება, რომელიც განკუთვნილია სახალხო, სამთავრობო ან კულტურული მიზნებით გამოყენებისთვის (კომერციული მიზნების საპირისპიროდ) ან (iv) ეჭვის განსაქარწყლებლად, (A) საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრება იმისდა მიუხდავად არისთუ არა ჩადებული ქართულ ან არაქართულ ბანკში ან სხვა ნებისმიერ საფინანსო ორგანიზაციაში, ან (B) საქართველოს კანონის "საქმეთა წარმოების შესახებ" 2^1 მუხლში განსაზღვრული ნებისმიერი ტიპის საკუთრება, რომელიც საქართველოში მდებარეობს. საქართველ უფლებას იტოვებს დაიცვას თავისი სუვერენული იმუნიტეტი 1976 წლის აშშ უცხოური სუვერენული იმუნიტეტის აქტის (U.S. Foreign Sovereign Immunities Act) შესაბამისად მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატის უსაფრთხოების კანონების მიხედვით.

13.10 *სამართლებრივი დავა.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან წარმოშობილი ყველა დავა *მხოლოდ და საბოლოოდ* საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარეგულირდება. ამასთან დაკავშირებით შემდეგი მოთხოვნები ამოქმედდება:

> აა) საარბიტრაჟო სასამართლო შედგება ერთი ან სამი არბიტრისგან, რომლებიც დაინიშნებიან და იმოქმედებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) არბიტრაჟის წესების მიხედვით, რომელშიც დროდადრო შედის ცვლილება.
>
> ბბ) საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მაინის ფრანკფურტში. პროცედურები წარიმართება ინგლისური ენაზე.

13.10 *ინფორმაციის მიწოდება.* KfW ვალდებულია წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასა და შესრულებასთან, და ასევე პროექტი განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ევროკომისიას და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს. KfW და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ვალდებულნი არიან სესხთან და პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია, მიაწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე არიან პასუხისმგებელი, კერძოდ კი ვალების მომსახურებასთან მიმართებაში.

13.11 *ხელშეკრულების ძალაში შესვლა.* წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება არ შევა ძალაში მანამ სანამ:

ა) ძალაში არ შევა და არ ამოქმედდება სამთავრობოთაშორისო შეთანხმება, რომელსაც აღნიშნული ეფუძნება,

ბ) ძალაში არ შევა და არ ამოქმედდება ყველა შესაბამისი ხელშეკრულება, კერძოდ, დაფინანსების ხელშეკრულება, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულება და დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულება, ან თუ ძალაში შევა და ამოქმედდება წინამდებარე ხელშეკრულების მხოლოდ ეფექტურობის საზომად,

გ) წინამდებარე ხელშეკრულება არ იქნება რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ,

დ) 4.2 მუხლის პირობები არ იქნება შესრულებული.

რომელსაც ადგილი ექნება ყველაზე გვიან.

წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება შესრულებულია ინგლისურ ენაზე ორი (2) ორიგინალის სახით.

ბათუმი,
18 აგვისტო, 2011

KfW

ევა ვიტი
KfW-ს განვითარების ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი

ნორბერტ კლოპენბურგი
KfW-ს დირექტორთა საბჭოს წევრი

საქართველო
წარმოდგენილი
ფინანსთა სამინისტროთი

დიმიტრი გვინდაძე
ფინანსთა მინისტრი

<u>დანართი 1</u>

ჩამორიცხვის გრაფიკი

მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის პირობით, რომელიც დამატებით განსაზღვრულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში, შეუძლია მოითხოვოს სესხის თანხიდან ჩამორიცხვა ქვემოთ მოცემულის მიხედვით.

პერიოდი	**პერიოდის ხანგრძლივობა**	**ჩამორიცხვები პერიოდში**	**მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შესაძლოა ჩამოირიცხოს თითოეული პერიოდის დასრულებამდე (დაგროვილი) (ყველა მონაცემი მოცემულია ევროში)**
1	30.06.2011 - 30.06.2012	1,400,000.00	1,400,000.00
2	01.07.2012 - 30.06.2013	3,500,000.00	4,900,000.00
3	01.07.2013 - 30.06.2014	5,100,000.00	10,000,000.00
4	01.07.2014 - 30.06.2015	6,000,000.00	16,000,000.00
5	01.07.2015 - 30.12.2015	4,000,000.00	20,000,000.00